

## მუსიკა უეცარი

გუშინ, როცა არე- მარეს შუქს აფრქვევდა მთვარე ციდან,  
მე მომწყინდა... მე სარკმელი გამოვაღე და სარკმლიდან  
წკრიალა ხმა შემოიჭრა, ვით ღრუბლიდან მთვარის შუქი,  
და ჰანგებად დაიღვარა, ვით სურნელი, ვით ქარბუქი.  
ღამით თრთოლვა იდუმალი გარინდებით ამ დროს სთვლემდა  
და ნაზი ხმა მის სივრცეში ლივლივებდა, ლივლივებდა!  
თითქო ორთქლად ეფრქვევოდა არე- მარეს ეს ცის ხმები,  
და სცურავდენ ამ ლურჯ ორთქლში ვარსკვლავები, ყვავილები.  
მაგრამ ჰანგი გაიზარდა და თანდათან შეიცვალა,  
ახმაურდა მასში გრგვინვა და სტიქიის რაღაც ძალა.  
ამ დროს თვალწინ იშლებოდა ჯურდმულები და ხევები.  
იმედთა და რწმენის ზღვაზე მოცურავდენ ნამსხვრევები.  
ჰანგთ ნაკადში ინთქმებოდა კაცთა გული, კაცთა თვალი,  
იყო რაღაც საშინელი, იყო რაღაც იდუმალი,  
ტბათა ფსკერზე თითქო ელვის დაიკლაკნა, ბილიკები,  
მაგრამ აპა, სულ უეცრად შეიცვალა ისევ ხმები:  
ლაჟვარდოვან ტბის სარკეზე გასრიალდა ვერცხლის ნავი,  
ოდნავ დასწვდა წყალს ნიჩაბი, ვით ნიავი, ვით ნიავი.  
მთიდან ნისლი ჩამოცურდა, ნისლი ბნელი, ნისლი შავი,  
და გაშალა ტბის სივრცეზე თმა- გიშერი, თმა- ნაწნავი.  
და ისმენდა ამ სიმღერას, და ტოკავდა როგორც ნავი,  
სანამ კვლავ არ შეიცვალა ჰანგთა ტალღა მომხიბლავი:  
ეხლა თითქო ღრუბელთ ზევით დაოცნებობს ფიქრი წყნარია  
ცის ვარსკვლავებს აგროვებს და ზღვას სთავაზობს ნიავ- ქარი.  
მდუმარე ზღვის ლაღ სივრცეზე ნისლად იდგა ის სიმღერა  
და ტოკავდა ზღვის ქალწულთა მოხიბლული გულისმგერა.  
მწველი იყო ის სიმღერა, ვით შუადღის ბრწყინვალება,  
სადაც გრძნობა გზას პოულობს, სადაც ცეცხლი იმაღება,  
და ისმოდა ეს სიმღერა, და ღვივოდა თვით ამ ხმაში,  
და ნაწნარად იკაფავდა გზას უსაზღვრო ქვეყანაში.  
იკვალავდა გზას და თრთოდა უსაზღვრობის სიღრმე- წყლულში,  
იკვალავდა გზას და რეკდა გარინდებულ ცის ჯურდმულშთ.  
ერთხელ კიდევ ჰანგთ კამარა მიძინებულ ქვეყნის გულში  
მიატარა- მოატარა და გაიბნა შორს, უფსკრულში!»